მომავალი ეკუთვნის პროფესიონალებს
პროფესორი მამუკა თავხელიძე
ინტერვიუ გაზეთისთვის „ალმა მატერი", № 9
თბილისი.
28 ივნისი, 1999

ბატონო მამუკა, თქვენ აგირჩიეს საქართველოს კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფედერაციის თავმჯდომარედ. გილოცავთ...

— გმადლობთ. ეს ჩემთვის არა მხოლოდ დიდი პატივი, მაღალი პასუხისმგებლობაცაა. საზღვარგარეთ ასეთი ტიპის გაერთიანებას ფართო ფუნქციები და მაღალი ავტორიტეტი აქვს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ფედერაციაც მალე მოიპოვებს ასეთ ავტორიტეტს.

— რას უნდა ელოდეს საზოგადოება მისგან?

— ფედერაცია ორიოდე თვის წინ ჩამოყალიბდა. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში განათლების სისტემის შემდგომ განვითარებას, მის დაახლოებას ევროპულ სტანდარტებთან. ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ფედერაცია მიიჩნევს მაღალი დონის სასწავლებლის გამოვლინებას, რათა დაეხმაროს საზოგადოებას სწორ ორიენტაციაში, ანუ დაეხმარება მშობლებს, აბიტურიენტებს შეარჩიონ სასწავლებელი, რომელიც მათ ნამდვილ ცოდნას, მაღალ პროფესიონალიზმს შესძენს.

— ბატონო მამუკა, მეთანხმებით თუ არა, რომ დღეს ახალგაზრდობის ერთი ნაწილი უპირატესობას მაინც სახელმწიფო სასწავლებლებს ანიჭებს?

— მთლიანად ვერ დაგეთანხმებით. თუ საზოგადოებრივი აზრის პოზიტიურ და ნეგატიურ დონეს განვიხილავთ დინამიკაში, ის რამდენიმე ეტაპად შეიძლება დავყოთ.

პირველი ეტაპი: 1991 წელი, როდესაც პარლამენტმა მიიღო დადგენილება კერძო სასწავლებლის გახსნის თაობაზე. პრაქტიკულად შეიქმნა სახელმწიფო სექტორის ალტერნატივა, რომელმაც საშუალება მისცა ახალგაზრდობის დიდ ნაწილს დაეკმაყოფილებინა უმაღლესი განათლების მიღების მანამდე მიუღწეველი სურვილი. ამდენად, საზოგადოების პოზიტიური განწყობის ხარისხი კერძო სასწავლებლების მიმართ ამ დროისათვის ძალზე მაღალი იყო.

მეორე ეტაპს შეიძლება დავარქვათ კერძო სასწავლებლის დისკრედიტაციისათვის ბრძოლის ხანა.

— ვინ იყო ამით დაინტერესებული?

— უმაღლეს სასწავლებლებში დასაქმებულ ადამიანთა ის ნაწილი, ვისთვისაც უმაღლესი სკოლა „ბიზნესის" კეთების ადგილად იყო ქცეული. ამ ბრძოლამ თავისი შედეგი გამოიღო და საზოგადოების დიდ ნაწილში ნეგატიურმა დამოკიდებულებამ თავის პიკს მიაღწია. სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნასაც, რომ ამ პროცესს ხელი შეუწყო ზოგიერთ კერძო სასწავლებელში არსებულმა მდგომარეობამ. ბევრ მათგანს მართლაც ვერ უწოდებ უმაღლეს სასწავლებელს. „თუმცა, არც სახელმწიფო უმაღლესი სკოლაა თავისუფალი სერიოზული ხარვეზებისაგან, მაგრამ ამაზე რატომღაც ხმამაღლა არავინ ლაპარაკობს.

მესამე ეტაპი ახლა მიმდინარეობს. უკვე გამოიკვეთა მოწინავე კერძო სასწავლებლები, რომლებმაც ბევრი პარამეტრით გადაუსწრეს კიდეც სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებს. ბუნებრივია, საზოგადოების ჯანსაღად მოაზროვნე ნაწილი კვლავ შემობრუნდა კერძო სასწავლებლისაკენ. ისინი თავის სიმპათია-ანტიპათიას განსაზღვრავენ არა საკუთრების ნიშნის მიხედვით (სახელმწიფო, კერძო), არამედ ხარისხობრივი დონის მიხედვით. მათთვის მთავარია არა ის, რომელი სექტორის სასწავლებელში ისწავლიან, არამედ ის, თუ რომელი მისცემს რეალურ ცოდნას, რომელი გამოუშვებს მაღალ პროფესიონალებს. ხვალინდელი დღე ხომ მხოლოდ პროფესიონალებისაა. ამის დასტურია მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის პროცედურა.

— თქვენ ამბობთ, ზოგიერთმა კერძო სასწავლებლებმა გადაუსწრო სახელმწიფო უმაღლეს სკოლასო. როგორ მოახერხა 8-9 წლის წინ შექმნილმა სისტემამ 80-წლიანი ისტორიის მქონე სახელმწიფო სასწავლებლების უკან მოტოვება? ეს რეალურად ასეა?

— ეს პროცესი რომ ავხსნათ, მოკლე ისტორიული ექსკურსი გავაკეთოთ. უმაღლეს სკოლას გარკვეული სისტემა ნამდვილად ჰქონდა, მაგრამ თუ ღრმად გავაანალიზებთ, ის ორიენტირებული იყო საშუალო დონის სპეციალისტთა აღზრდაზე და არა მაღალი კლასის პროფესიონალთა ჩამოყალიბებაზე.

— მაგრამ ხომ იყვნენ დიდი მეცნიერები...

— დიახ, იყვნენ, მაგრამ ეს სისტემის ლოგიკური შედეგი არ იყო. მათ არსებობას განსაზღვრავდა თითოეულის ინდივიდუალური მონაცემები. ჩემს ნათქვამში ადვილად დარწმუნდებით, თუ გადავავლებთ თვალს 70-80-იანი წლების ისტორიას. ამ პერიოდში არაერთი სტუდენტური აქტივის კრება, არაერთი ცკ-ს ბიუროს სხდომა თუ პლენუმი მიუძღვნა პრობლემას: — საშუალო სტუდენტი; — საშუალო სპეციალისტი. ეს მავნე ფორმულა სწორედ იმ უმაღლეს სკოლაში შეიქმნა, რომელსაც დღეს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი ჰქვია. იმ წლებში ჩამოყალიბებული სისტემა არათუ არ შეიცვალა, არამედ მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტემპების ფონზე უფრო კონსერვატული და დაბალეფექტური გახდა.

კერძო უმაღლესი სკოლა თავისი ბუნებით გაცილებით მობილურია და ოპერატიულად რეაგირებს ყოველგვარ სიახლეზე. სწრაფად და ადვილად ნერგავს ახალ პროგრამებს, სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებს. მან კარგად იცის, რომ მის ავტორიტეტს მისივე კურსდამთავრებულის პროფესიული დონე განსაზღვრავს.

— მაგრამ ეს ზოგადი სქემაა...

— დიახ, ზოგადი, მაგრამ სისტემისათვის დამახასიათებელი. სხვა საკითხია, ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში რამდენად ეფექტურად მუშაობს იგი, მაგრამ ფაქტია, რომ მსოფლიო ცივილიზაცია სწორედ კერძო სისტემამ შექმნა. უფრო ზუსტად, საკუთრების ფორმათა მრავალსახეობამ, რომელიც კონკურენტულ გარემოს ქმნის.

ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივად მეჩვენება ერთ-ერთი ცნობილი საზოგადო მოღვაწის აზრი, რომელიც მან ჩვენს უნივერსიტეტში ვიზიტის დროს გამოთქვა — თქვენი საქმიანობით აიძულებთ სახელმწიფო უმაღლეს სკოლას, გადახედოს თავის პოზიციებსო, — არსებითად, ეს არის საბაზრო ეკონომიკის არსი.

— რას სთავაზობს თქვენი უნივერსიტეტი აბიტურიენტებს სახელმწიფო თუ სხვა კერძო სასწავლებლებისაგან განსხვავებულს?

— დავუბრუნდები ისევ საბჭოთა სკოლისა და მისი მემკვიდრის, სახელმწიფო უმაღლესი განათლების სისტემას. ტრადიციულად, აქ პრიორიტეტულია თეორიული ცოდნის გარკვეული მოცულობის მიწოდება, ხოლო პროფესიული უნარ-ჩვევების ფორმირება დიპლომის მიღების შემდეგ, რეალური საქმიანობის დროს სტიქიურად მიმდინარეობს, ე. ი. სტუდენტი ამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს, მაგრამ იგი არ არის შეიარაღებული პრაქტიკული ჩვევებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ის არ არის სრულყოფილი პროფესიონალი. ჩვენ ამ პრობლემას დიდი ხანია მივაქციეთ ყურადღება და პრიორიტეტად ჩავთვალეთ პროფესიულ-პრაქტიკული ჩვევების გამომუშავება ჯერ აქვე ლაბორატორიულ პირობებში, ხოლო შემდეგ — რეალურ სიტუაციაში.

მაგალითად, სტომატოლოგიურ ფაკულტეტზე პირველად საქართველოში ჩვენთან დაინერგა სწავლების ტრენაჟორული სისტემა შესაბამისი ლაბორატორიული უზრუნველყოფით, რომელსაც დღესაც არა აქვს ანალოგი. ანუ სტუდენტი ჯერ ლაბორატორიაში, ხოლო შემდეგ ჩვენსავე კლინიკაში ყალიბდება როგორც ექიმი.

— ამაზე დღეს უკვე არავინ დაობს. სხვათა შორის, მსოფლიო ბანკის პრეზიდენტის მეუღლემ, ქალბატონმა ელენ ვულფენსონმა ჩვენთან ვიზიტის დროს აღნიშნა კიდევ, რომ მას ასეთი ლაბორატორია არსად უნახავს. ეს საკმაოდ მაღალი შეფასებაა.

— რადგან ქალბატონი ელენის სიტყვები მოიტანეთ, გაიხსენეთ, კიდევ რა ბრძანა მან...

— დიახ, გამაოცა იმან, რომ ყველა სპეციალობას თანაბრად მაღალ დონეზე აღჭურვილი ლაბორატორიები აქვს და ღრმა შემეცნებითი მუშაობა მიმდინარეობსო.

— ეს მართლაც ასეა. იურისტებს უნიკალური ლაბორატორიული კომპლექსი აქვთ, რომელსაც მაღალი შეფასება მისცა ცნობილმა გერმანელმა საზოგადო მოღვაწემ დიტერ პაპემ, ჟურნალისტებს თანამედროვე დონეზე აღჭურვილი სატელევიზიო სტუდია ემსახურება, სადაც ისინი დამოუკიდებლად ამზადებენ გადაცემებს.

კომპიუტერულ კლასში თვითონ აკაბადონებენ საუნივერსიტეტო გაზეთს. ეკონომისტებისათვის სექტემბრიდან მუშაობას დაიწყებს უნიკალური სასწავლო ლაბორატორია, რომელსაც ანალოგი არ ექნება მთელს ქვეყანაში. დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტები კი თავის ფონეტიკურ ჩვევებს სტერეო ლინგაფონის კაბინეტში იყალიბებენ. სხვათა შორის, წელს სიახლეა ამ ფაკულტეტზე — დაემატა თარჯიმან-რეფერენტის სპეციალობა.

— ყოველივე ამას დავუმატებდი მატერიალურ და მაღალ ფსიქოემოციურ კომფორტს, რომელიც სწავლას სასიამოვნოს და საინტერესოს ხდის.

— ალბათ, არც ის არის ნაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ამ გარემოს შექმნას, ჩემი აზრით, პროფესორ-მასწავლებელთა ის კორპუსი განსაზღვრავს, რომელიც ჩვენთან მუშაობს. ესენი არიან ცნობილი ქართველი მეცნიერები და მოღვაწენი. სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ მათ გვერდით მოღვაწეობენ უცხოელი სპეციალისტებიც: ამერიკელი და გერმანელი პედაგოგები. ჩვენ სტუდენტებს კარგად ახსოვთ ქალბატონ მერი ელენ ჩეთკინის, მაიკლ და ჯენეტ გაუდების, ჯონ და ნენსი სტიუარდების, ემი დენმანის, ჰერბერტ ნოვაკისა და იოახიმ გაულიკის, დიტერ პაპეს ლექციები. ეს თანამშრომლობა ძალიან გვეხმარება ჩვენი სტუდენტების სტაჟირებაზე გასაგზავნად. რამდენიმე მათგანი ჩამოვიდა უკვე გერმანიიდან და სერტიფიკატიც ჩამოიტანა.

— მე ვიცი, კიდევ ერთ სიურპრიზს უმზადებთ ჩვენს სტუდენტებს.

— არის ასეთი სიურპრიზი, მაგრამ არ მინდოდა მისი გახმაურება. ზოგადად კი გეტყვით, რომ ალმა მატერის კურსდამთავრებული ჩვენს დიპლომთან ერთად ამერიკულ დიპლომსაც მიიღებს. თუ როგორ — ამაზე შემდგომ.

— ეს რეალურია?

— სრულიად რეალურია. ამ რამდენიმე დღის წინ მივიღეთ სწორედ თანხმობა. ამ საკითხზე აგვისტოში ან სექტემბერში ამერიკელები გვეწვევიან და ხელშეკრულებას მოეწერება ხელი. რამდენიმე ხანში ჩემი ვიზიტიც იგეგმება.

ჩვენს უცხოეთთან ურთიერთობას საკმაოდ დიდი ხნის პრაქტიკა აქვს. დარეჯან დეკანოსიძე, ირმა მუხიგულაშვილი, თინიკო ფანჩულიძე, ხათუნა გამირაშვილი, თამარ ლოლაძე, ირინა რომანოვა უკვე ჩამოვიდნენ გერმანიიდან, სადაც მათ აიმაღლეს კვალიფიკაცია. უახლოეს მომავალში ჩვენი სტუდენტების ერთი ჯგუფი გაემგზავრება საზღვარგარეთ სტაჟირებაზე.

— ეს დიდ დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული...

— საქმე სწორედ იმაშია, რომ დანახარჯები თითქმის არ იზრდება.

— ეს, ალბათ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ლიცეუმის მოსწავლეთათვის.

— რა თქმა უნდა, მათი პროგრამა ინგლისურ ენაში თვისობრივად შეიცვლება, რათა მომზადდეს ბაზა ინგლისურ ენაზე სხვადასხვა საგნების შესწავლის უნარის გამოსამუშავებლად.

— რაკიღა ლიცეუმზე ჩამოვაგდეთ საუბარი, მოკლედ გვითხარით, რას წარმოადგენს იგი?

— ლიცეუმში სწავლა 2 წელი მიმდინარეობს. არსებითად ელიტარულ განათლებას აძლევს მოზარდებს. სწავლების მთელი სისტემა აგებულია პრობლემური სწავლების პრინციპებზე, რაც თავისუფალი აზროვნების ფორმირებას უწყობს ხელს. გარდა ამისა, სასწავლო გეგმაში შეტანილია საგნები, რომლებიც ამზადებს მათ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. ეს საგნები პრაქტიკულად ტრენინგულ სისტემას წარმოადგენს, რაც მაღალი ეფექტის მიღების საშუალებას იძლევა.

მეორე მხრივ კი მოზარდები ემზადებიან უმაღლესი სკოლისათვის. ვისაც სურვილი აქვს, ჩვენს უნივერსიტეტში აგრძელებს სწავლას, თუმცა წელს სამ მოსწავლეს ეთქვა უარი. სულ კი 80 პროცენტი კურსდამთავრებულებისა უკვე ჩაირიცხა ალმა მატერში.

— უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებზე რას იტყვით?

— მე ვამაყობ თითოეული მათგანით. თითქმის ყველამ მონახა შესაფერისი სამუშაო და წარმატებითაც მოღვაწეობს. ზაზა და კახა ვარსიმაშვილები შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობენ, კაკი ვაზაგაშვილი და მიშიკო ყურაშვილი უშიშროების სისტემაში, ზვიად ფოჩხუა გაზეთ „რეზონანსის" უკვე აღიარებული ჟურნალისტია. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო რეზო ხარბედია, რომელიც უკვე ლომონოსოვის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის ასპირანტია, ფიქრია თამლიანი კი სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტისა. წელს ორი მიზნობრივი ადგილი გვაქვს გამოყოფილი ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში.

ნიშანდობლივი ფაქტი უნდა გითხრათ. ამერიკის საელჩოში გამოცხადდა კონკურსი ერთ-ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე. კონკურსში ჩვენი უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტმა ქეთი ხურციამაც მიიღო მონაწილეობა, სტაჟიან კონკურენტებთან ბრძოლაში, ჩვენდა სასიხარულოდ, ქეთინომ გაიმარჯვა და დღესაც აგრძელებს იქ მუშაობას. ეს თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ უმაღლესი სასწავლებელი საკუთრების ნიშნის მიხედვით კი არ უნდა შეფასდეს (სახელმწიფო თუ კერძო), არამედ ხარისხის მიხედვით. ეს ფაქტი დასტურია იმისა, რომ ხვალინდელი დღე მხოლოდ პროფესიონალებს ეკუთვნით.